ახალი

განთიადი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2019 წელი 29 ივლისი № 7 № 8148

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

ბატონიშვილი

88-ე წელი თქვენთან ერთად!

გვ6. მე, შენ და ცეკვრთოველი

გვ3. „რა? სად? რიდან?„

გვ6. „ერთ, მეამყოლი, ცვრინწამყოლებს„

გვ6. ჩვენ ვეშურებით მომავალს

გვ5.

გვ4. „იყო და არა იყო რა...„

გვ2. **რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში**

გვ2. **ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია**

გვ9. ჩვენი ცხოვრების ვერნისაჟები

გვ2. **სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია**

გვ2 **გარეგანათების სამუშაოები**

გვ2.

გვ3. „რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია„

გვ5. ვარსკვლავსანი ქორეოგრაფი

გვ8. ცოლიერების გვლაცვრჩენელი

გვ4. **შემვჯვამებელი შეხვედრები ცვლოთელი ყლოუბებში**

ექვსი თვის შედეგები

გვ7.

დოესში ახალი საჭიდაო გახსნეს და... ძველი მოჭიდავეები გაიხსენეს

გვ9.

შავიზღვისპირული მონაგარი ბათუმიდან

გვ9.

88 წელი თქვენთან ერთად! 88-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერს, ვგრძოვებს, ინახავს რეპორტაჟებს, ხალხს ეს ფაქტი ყვითელ ჰრრეცხავ, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფერადებულ მეცნიერებს, თუ ოლობთ ცვინდერეცოლ ლა მნიშვნელოვან მეცვლოვან გაზეთის ინცლრეიდან გამოგვეცმეფრეთ. გამოიწერეთ „ახალი განთიადი„ და გახლით ჩვენი მეითხველი!

რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ რეაბილიტაცია / აბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ათას ლარიანი ვაუჩერის გაცემა დაიწყო.

პირველი ივლისიდან მერიის შესაბამისი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები ათას ლარიანი ვაუჩერით ისარგებლებენ. ერთ ბენეფიციარზე რეაბილიტაციისათვის განკუთვნილია ათასი ლარი მის სრულ ამოწურვამდე. ვაუჩერის მფლობელს უფლება აქვს რეაბილიტაციის კურსი ჩაიტაროს მის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში, სარეაბილიტაციო ცენტრში, საქართველოს კურორტებზე არსებულ სასტუმროებში.

ვაუჩერით ისარგებლებენ: ცერებრალური დამბლით, აუტიზმის, დაუნის სინდრომით, გონებრივი ჩამორჩენილობით, ეპილეფსიით, ფენილკეტონურიით, ცელიაკიით, ჰიდროცეფალიით, მიკროცეფალიით, სპინალური ამიოტროფიით, სპინო-ცერებრალური ატაქსიით, სირინგომიელიით, ოსტეომიელიტით, ცერებრო-სპინალური ფორმით, სპონდილოართრიტით, ესტეომალაციით, სმენის ორმხრივი დაქვეითებით ხარისხიდან, არასრული ოსტეოგენეზით, კახექსია მძიმე ფორმით, აუტიზმით, მემკვიდრეობითი ან/და ოჯახური დაავადებების პასტიკური პარაპარეზითანსპასტიკური პარაპლეგიით, პარაპლეგიით ან/და ტეტრაპლეგიით (გარდა ინსულტის შემდგომი მდგომარეობისა), ორმხრივი ნეოართროზით და სისტემური დაავადებებით (კოლაგენოზები და ვასკულიტები), პირველი ჯგუფის 0-დან 18 წლამდე უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, კონსულტაციები გამართულ იქნა, როგორც შესაბამის დარგში მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე თბილისის მერიასა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან.

გარეგანათების სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს გარეგანათების მოწყობისა და რეაბილიტაციის სამეტაპიანი სამუშაოები. სამუშაოებს ორი კომპანია შპს "ბრენდი" და შპს "მური" ახორციელებს.

შპს "ბრენდი" გარეგანათების მოწყობას სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფლებში, ხოლო შპს "მური"კასპში აწარმოებს.

აღნიშნული სამუშაოები ითვალისწინებს ქალაქის ქუჩების განათების ფარების ახალი ლედსანათით შეცვლას, ახლის მონტაჟს, საჭირო ადგილებზე სადენების შეცვლას.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. კასპის, სოფელ იგოეთის, ბარნაბიანთკარის, წინარეხის სამ უბანსა და სადგურ მეტეხის დასახლებაში კი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

გარეგანათების მოწყობის სამუშაოებზე სულ 301 442 ლარი დაიხარჯება.

ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია

კასპის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ მერებაშვილი თამარ შარიფაშვილთან ერთად, საჯარო სკოლის დირექტორებს შეხვდა და მათ ახალი ინიციატივა გააცნეს.

კასპის მერიამ მუნიციპალიტეტის სკოლადამთავრებულებს, ყველა აკრედიტებული უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან შეფასებით 91 - 100 ქულა - დაენიშნებათ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია.

უმაღლესი შეფასების 5 (ხუთ) სტუდენტს პირველი სემესტრის შეჯამების შემდგომ, დაენიშნება 500 (ხუთასი) ლარი ყოველთვიური სტიპენდია 6 თვის განმავლობაში. ასევე სტიპენდია დაენიშნება 5 (ხუთ) საუკეთესო სტუდენტს მომდევნო სემეტრის შეფასებისას.

ამასთან, ერთიანი ეროვნული გამოცდების შეფასებისას (ქართული ენა, უცხო ენა, ზოგადი უნარები, მათემატიკა და ისტორია) თითოეულ საგანში საუკეთესო სტუდენტს მუნიციპალიტეტის მერია გადასცემს ლეპტოპს.

სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობის განკარგულებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობას, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, კასპის მუნიციპალიტეტის დოესის, ახალქალაქის, ახალციხის და აღაიანის სასოფლო ამბულატორიებს სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ფინანსები გამოეყო.

კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "რესტავრატორმა" სამუშაოები უკვე დაიწყო, რომელზეც 89 999 ლარი დაიხარჯება. ამბულატორიებში მოეწყობა სამანიპულაციო, პედიატრის, მედდის ოთახები, შენობის სველი წერტილები, ჭერი, იატაკი, საქვაბე, შეიცვლება სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელი, სახურავი, კარფანჯრები, შეიღებება გარე, შიდა ფასადი და სხვა.

რეაბილიტირებული სასოფლო ამბულატორიები სამუშაო პირობებსა და მომსახურებას გაუუმჯობესებს, როგორც მომსახურე პერსონალს ასევე პაციენტებს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ დოესის ადმინისტრაციულ ერთეულში ტარიელ ოხანაშვილმა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ფოტო-მატიანე

,,ხხლოი გვნთიალი,, ეძებს ცვინდერებლ ფოტოებს რომლებლ ცვგვზეთ ფოტო-მოგონებლ შეცვკმნელოდ. თხოვნით მივმართავთ თანხრომლებლ - დოგოვეთ თქვენი ყველი ჩვენს მოგონებაში! გვმოგვიგზავნეთ ცვინდერებლ და ცვხხლოებლ ფოტოები!

,,რა? სად? როდის?,,

საქართველოს ინტელექტუალური კლუბის "რა? სად? როდის?" ხელმძღვანელობით, კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებით, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით კასპის პირველი საჯარო სკოლის დარბაზში ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" ჩემპიონატი ბესიკ ტერტერაშვილის სახელობის გახლდათ. ამქვეყნიდან უდროოდ წასული ინტელექტუალი ახალგაზრდა, ჩვენს ქალაქში პირველად ჩატარებული ინტელექტუალური თამაშის გამარჯვებული გუნდის წევრი იყო.

ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა გუნდმა: "ნო სმოკინგ"; "ვალკირია; "ჰაიდელბერგ ცემენტი"; "ფინკა"; "ჟალგირისი"; "ევრიკა"; "აისბერგი"; "სამთავისი"; "მთიები"; "ქვილთი"; "ედელვაისი"; "თხოთი".

ჩემპიონატი მისასალმებელი სიტყვით გახსნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ მერებაშვილმა, რომელიც მიესალმა მონაწილე გუნდებს და ბესიკ ტერტერაშვილის ვაჟს - ლუკა ტერტერაშვილს, გადასცა სამახსოვრო ფასიანი საჩუქარი და აღნიშნა, რომ ბესიკ ტერტერაშვილის სახელობის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" ჩატარდება ყოველ წელს.

ჩემპიონატის დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი კასპის მუნიციპალიტეტიდან ირაკლი მეზურნიშვილი.

გიორგი მოსიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს და განსაკუთრებით აღნიშნა კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი მაია ნონიაშვილი (ჩემპიონატში მონაწილე გუნდ "ვალკირია"-ს წევრი), რომლის კითხვა კლუბში "რა? სად? როდის?" არაერთხელ გაჟღერდა კასპის მუნიციპალიტეტიდან.

ჩემპიონატი სამ ეტაპად ჩატარდა, თითოეულ ეტაპში 12 კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა ჩვენებურ მოაზროვნეებს.

ძალიან საინტერესო, სახალისო და თქვენ წარმოიდგინეთ, არადამღელელი სამი საათის შემდეგ გამოვლინდა ჩემპიონატში გამარჯვებული სამი გუნდი: "ნო სმოკინგ " - პირველი ადგილი და ფულადი ჯილდო 1000 ლარი; "ვალკირია" - მეორე ადგილი და ფულადი ჯილდო 500 ლარი; "ჰაიდელბერგ ცემენტი" - მესამე ადგილი და ფულადი ჯილდო 300 ლარი; ჩემპიონატში მონაწილე ყველა გუნდს გადაეცა სიგელები; კასპის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა გამარჯვებული გუნდის ექვსივე წევრს წიგნები გადასცა საჩუქრად. კასპელმა ალექსანდრე მანძულაშვილმა თამაშის უხუცესი წევრი გულნარა ვალიშვილი (გუნდი "აისბერგი") დაასაჩუქრა.

ბესიკ ტერტერაშვილის მეუღლემ, ეკა ლომსაძემ სამადლობელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას მისი მეუღლის ხსოვნისა და შვილისათვის გადაცემული საჩუქრისათვის.

დასასრულს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ მადლობა მოახსენა მონაწილე გუნდებს, წამყვანს, ორგანიზატორებს ასეთი საჭირო, საინტერესო და წარმატებული ღონისძიებისათვის.

ბიბლიოთეკების გაერთიანება მადლობას უხსდის ჩემპიონატის თითოეულ მონაწილეს; კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ნათია ილურიძეს და ყველა იმ საჯარო სკოლის პედაგოგს, რომლებიც აქტიურად გამოეხმაურნენ ჩემპიონატს და მიიღეს მასში მონაწილეობა; "ჰაიდელბერგ ცემენტის" გენერალურ დირექტორს ზაზა სადუნიშვილს, "ფინკა ბანკის" კასპის ფილიალის ხელმძღვანელობას, ყველა კასპელ ინტელექტუალს, რომლებმაც შეადგინეს გუნდები;

განსაკუთრებული მადლობა ლაშა ზუბიაშვილს, საქართველოს პარლამენტის კასპის მუნიციპალიტეტის ბიუროს სპეციალისტსა და შესანიშნავ ფოტოხელოვანს.

და ბოლოს: გამარჯვებული პირველადგილოსანი გუნდი: ალექსანდრე ლიპარტელიანი (კაპიტანი), კობა მამულაშვილი, ზურა შოთნიაშვილი, მამუკა ზაქარაშვილი, ვანო ჯახუა, გოგიტა ტყემალაძე.

"რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია"

კასპის მუნიციპალიტეტის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანებისა და ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლეახალგაზრდობის სახლის კინოსა და თეატრის მოყვარულთა წრის ერთობლივი ღონისძიება, ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია - "მასზე წერდნენ - გალაკტიონ ტაბიძე."

ღონისძიებაზე წარმოდგენილი გახლდათ გალაკტიონის ბიოგრაფიის ქრონოლოგიური მიმოხილვა; მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შედარებით გაუხმაურებელი დეტალები და ქართველ პოეტთა ლექსები, მიძღვნილი გალაკტიონისადმი. კომპოზიცია გამდიდრებული იყო ვიზუალური მასალით; გალაკტიონის ხმის უნიკალური ჩანაწერით და სიმღერების თანხლებით, რომლებიც პოეტის ლექსებზეა შექმნილი.

მაყურებელთა წინაშე წარდგნენ წრის მოსწავლეები ანა თათარაშვილი, საბა მიქუტიშვილი, ნატალია მზარეულაშვილი, გიორგი ყაბანაშვილი, ლიზი მღებრიშვილი, გიორგი მიქუტიშვილი. საბა მიქუტიშვილმა ფიგურალურად დიდი პოეტის როლის შესრულებაც შეითავსა. მოსწავლეებს მიესალმნენ: ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ეთერ ჩადუნელი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები მაკა კაიშაური, თამარ წიკლაური, გაზეთ "ახალი განთიადი" - ს რედაქტორი ნანა მერებაშვილი, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის სასწავლო ნაწილის გამგე მარინა ნაგელიშვილი, პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი მანანა ყაბანაშვილი, მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ცირა შაქარაშვილი - ზერეკიძე, მოსწავლეების მშობლები. ახალბედა სცენისმოყვარულებს ორივე გაერთიანებამ გადასცა სიგელები.

დიდი მადლობა გვინდა მოვახსენოთ საკლუბო დაწესებულებების გაერთიანებას და ამ გაერთიანების სპეციალისტს ზურა საჩალელს ტექნიკური დახმარებისათვის.

"იყო და არა იყო რა..."

20 ივნისს კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების ქვემო ჭალის ბიბლიოთეკაში (მენეჯერი ნინო აბულაძე) ჩატარდა ზღაპრის საღამო უმცროსკლასელთათვის "იყო და არა იყო რა..." საღამო შემეცნებითი ხასიათის გახლდათ.

უფროსებმა პატარებს წაუკითხეს სხვადასხვა ასაკისათვის განკუთვნილი ზღაპრები. კითხვის პროცესში აქტიურად ჩაერთვნენ პატარებიც, რომლებმაც ისაუბრეს მათთვის საყვარელ ზღაპრებსა და ზღაპრის პერსონაჟებზე.

საღამო დაასრულა სახალისო ვიქტორინამ. პატარები სხარტად პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს ზღაპრების ავტორებზე, მთავარ და საყვარელ გმირებზე და ზღაპრების სათაურებზე. ბავშვებმა წარმოადგინეს კოსტიუმირებული ინსცენირება.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

შემაჯამებელი შეხვედრები ცხოვრები კლუბებში

შემოქმედებითი, სადღესასწაულო საღამოები, საზეიმო შეხვედრები, კულტურული ღონისძიებები, რომელიც პერიოდულად იმართება კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლებსა თუ სასოფლო კლუბებში /კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი და სასოფლო კლუბების კურატორი ნუნუ სუსუნიაშვილი/ მთელი ჩვენი მოსახლეობის დიდ-პატარას, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდობას ძალიან იზიდავს, უფრო მეტიც, მათ ცხოვრებასა და ყოველდღიურობას მოტივირებულს ხდის...

განსაკუთრებით რეზონანსულია სასოფლო კლუბებში ჩატარებული საანგარიშო კონცერტები, რომელიც ყოველწლიურად შუა ზაფხულში კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ინიციატივითა და ორგანიზებით ტარდება.

– ტრადიციული საანგარიშო კონცერტები, რომელიც წინასწარ დაგეგმილი განრიგის მიხედვით ჩატარდა სასოფლო კლუბებში ნამდვილად დადებითად უნდა შეფასდეს, – განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, – ალბათ, ბევრი დამემოწმება იმაშიც, რომ ეს კულტურული ღონისძიება, რომელიც ორ კვირაზე მეტხანს გაგრძელდა, ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა, რადგან ამ საერთო მარათონში აქტიურად მონაწილეობს სოფლის მოსახლეობა, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ზეიმს სიამოვნებით უერთდებიან ზაფხულობით სოფლებში ჩამოსული სტუმრებიც.

წინარეხი

საჩვენებელ კონცერტზე, რომელიც 12 ივნისს გაიმართა, ბევრი სტუმარი მოვიდა წინარეხის სასოფლო კლუბში.

მაყურებლები გულმხურვალედ ხვდებოდნენ მთელი საკავთისხეოს მუსიკოს-შემსრულებლებს, მოცეკვავეებსა და მომღერლებს. მოკლედ, წინარეხში /კლუბის გამგე ნუნუ ბედოიძე/ გამართულ საანგარიშო კონცერტში, როგორც განსაზღვრული იყო, მონაწილეობდნენ აგრეთვე, კავთისხევისა /კლუბის გამგე ნანა შალიტაური/ და თვალადის /კლუბის გამგე ჟანა თაგვიაშვილი/ მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები.

მაყურებელი დიდი მოწონებით შეხვდა წინარეხის სასოფლო კლუბთან არსებულ მოსწავლეთა საესტრადო სიმღერების გუნდს /ხელმძღვანელი იზა ხეცურიანი/, ხანგრძლივი ტაში ახლდა კავთისხევის სასოფლო კლუბთან არსებულ ხალხურ საკრავთა ანსამბლის, "კავთურას" /ხელმძღვანელი ნანა შალიტაური/ გამოსვლას, რომელმაც მაყურებელს შესთავაზა ფოლკლორული მელოდიები. შემდეგ კი, თვალადელებმა გამოიჩინეს თავი ქორეოგრაფიული ცეკვებით, წარმატებით გამოვიდა სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "კავთურა" /ხელმძღვანელი შორენა ამირეზაშვილი/, რომელიც წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს რეგიონის მასშტაბით გამართულ კულტურულ ღონისძიებებში.



ქვემო ჭალა

რაიონული მასშტაბით ჩატარებული შემაჯამებელი ღონისძიების ბოლო აკორდი გახლდათ ქვემო ჭალის კულტურის სახლში /მენეჯერი მარინა ყარანაშვილი/ გამართული საზეიმო კონცერტი, რომელსაც უამრავი სტუმარი ესწრებოდა.

ღონისძიებას სტუმრობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელი მუშაკები თეა ხორბალაძე, თათია თათრიშვილი, მიხეილ ქოსაშვილი, აგრეთვე, გაერთიანების წარმომადგენლები: ეკა ჯაბაური, მაკა სომხიშვილი, ნელი ონეზაშვილი.

საჩვენებელი კონცერტის გახსნის პატივი წილად ხვდა ქვემო ჭალის კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ "სხვილოს" /ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/, რომელმაც შეასრულა ქართული ცეკვების პოპური.

დარბაზში შეკრებილი საზოგადოება აპლოდისმენტებით შეხვდა კულტურის სახლთან არსებულ ხალხური სიმღერის, მრავალი წარმომადგენლობითი კონცერტის მონაწილე და რეგიონული კონკურსების ლაურეატ ანსამბლ "საამილახვროს" /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/ გამოსვლას. მოწონება დაიმსახურა აგრეთვე, საესტრადო სიმღერების ჯგუფის /ხელმძღვანელი თამარ საჩალელი/ მოსწავლეების მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნომრებმაც. საზეიმო კონცერტის საუკეთესო გამოსვლად ჩათვალეს ღონისძიების ორგანიზატორებმა იგოეთის საჯარო სკოლის მოსწავლეების და-ძმა სალომე და იმედა იალოიანების მონაწილეობაც.

ზემო ხანდაკი

წლის შემაჯამებელ საჩვენებელ კონცერტში, რომელიც გაიმართა ზემო ხანდაკის სასოფლო კლუბში /გამგე მაიკო ამირეზაშვილი, ქორეოგრაფები ინგა თაბუკაშვილი და შორენა ამირეზაშვილი/, ზემოხანდაკელების გარდა მონაწილეობდნენ ხოვლისა /სასოფლო კლუბის გამგე ანა მელუა, ქორეოგრაფი მერი მამუკაძე/ და დოესის /კლუბის გამგე რუსუდან ცხოვრებაშვილი/ ქორეოგრაფიული ცეკვების კოლექტივები, აგრეთვე, დეკლამატორები /მხატვრული კითხვის წრეების წარმომადგენლები/ და საესტრადო სიმღერების ინდივიდუალური შემსრულებლები...

ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ის ფაქტი, რომ აღნიშნულ საჩვენებელ გამოსვლებში ძირითადად სჭარბობდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომლებმაც ძალიან მოინდომეს, ბავშვებს არც ერთი რეპეტიცია არ გაუცდენიათ, ყველაფერი იღონეს, რომ მაყურებლის წინაშე ღირსეულად და საინტერესოდ გამოეჩინათ თავი.

ოკამი

წლის საჩვენებელი, შემაჯამებელი ღონისძიება ორგანიზებულად, ძალიან ლამაზად ჩატარდა ოკმის სასოფლო კლუბში /გამგე ია ზოდიაშვილი/, კონცერტში ოკმელების გარდა, რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ აღაიანის სასოფლო კლუბთან /გამგე თამაზ დურგლიშვილი/ არსებული ხალხური, საესტრადო და თანამედროვე სიმღერების შემსრულებლები, დეკლამატორები, მოცეკვავეები. დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო ოკმის ხალხურ საკრავთა ანსამბლის /ხელმძღვანელი ციური გიგაური/ გამოსვლა. საჩვენებელ ღონისძიებაზე კვლავინდებურად გამოირჩეოდა აღაიანის ხალხურ საკრავთა ანსამბლი "თხოთი" /ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი/, რომლის მიერ შესრულებულმა ფოლკლორულმა სიმღერებმა აპლოდისმენტები დაიმსახურა. ყველა მოიხიბლა სცენაზე გამოსული ოკმელი სტუდენტი და-ძმის, სოფო და აკო წიკლაურების გამოსვლით, რომლებმაც ფანდურზე შეასრულეს საკუთარი სიმღერები. ოკმელი, აღაიანელი მაყურებელი და არა მარტო ისინი, მქუხარე ტაშით ავჯილდოებდნენ ახალგაზრდა შემსრულებლებს, ეს კონცერტი ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

დასასრული გვ-5.

ვარსკვლავისანი ქორეოგრაფი

კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გაალამაზა და გაამდიდრა ჩვენი ქალაქი. 19 მაისს გამართული საქველმოქმედო ღონისძიება "მასწავლებელი და მოსწავლეები", რომელიც მიეძღვნა ღირსების ორდენის კავალერს, ქორეოგრაფიის დიდ მოამაგესა და დამფასებელს, კულტურის ამაგდარ მოღვაწეს ქალბატონ რუსუდან მჭედელაძეს, დიდხანს ემახსოვრებათ აქაურებს და არა მხოლოდ მათ, ვინაიდან, სწორედ ამ დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

საზეიმო კონცერტი, რომელიც ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა, მოამზადეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: "მერიემი"/ქორეოგრაფი მერი მამუკაძე /, "მეტეხი" /ქორეოგრაფი ცისანა დარჩიაშვილი/, "ცეკვის აკადემია დიდგორი" /სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფი დარინა პაპაშვილი/, "მნათე" /ქორეოგრაფები: ინგა გულარაშვილი და თამუნა მამულაშვილი/, "ფერხული" /ქორეოგრაფი მარიკა ბიჭიკაშვილი/, "სხვილოელნი" /ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი/, "კავთურა" /ქორეოგრაფი შორენა ამირეზაშვილი/, "აისი" /ქორეოგრაფი თეონა გუგულაშვილი/.

შეგახსენებთ, რომ ქალბატონ რუსუდან მჭედელაძეს აქვს საინტერესო, ბევრისთვის მისაბაძი ბიოგრაფია... იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გახდა სასკოლო ოლიმპიადის ლაურეატი და სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ 1947 წელს ჩაირიცხა ლეგენდარული ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლში.

იმ დღიდან მოყოლებული მას არ უღალატია ქართული ქორეოგრაფიისათვის, 1950-52 წლებში იყო ვაჭრობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან არსებული ქორეოგრაფიული ცეკვის ანსამბლის წევრი, 1952-55 წლებში ცეკვავდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში.

1956 წელს რუსუდან მჭედელაძე დაოჯახდა, კასპელების რძალი გახდა და სამუდამო ბინა ჩვენს ქალაქში დაიდო. ქალბატონს ჰყავს დიდი ოჯახი, მეუღლე, ქალვაჟი, ხუთი შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი.

რუსუდან მჭედელაძეს შესანიშნავად იცნობენ აქაურები, ვინ მოთვლის, რამდენი თაობა აღზარდა, რამდენი გულანთებული ახალგაზრდა დააკვალიანა და აზიარა ქართული ცეკვის მადლს. 1968 წელს მან მუშაობა დაიწყო კასპის იმჟამინდელ ცემენტ-შიფერის კომბინატის კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად, შემოიკრიბა ცეკვით დაინტერესებული ახალგაზრდები, ხელმძღვანელობდა ტანვარჯიშის წრეს.

1968 წელს ჩამოაყალიბა ქორეოგრაფიული ანსამბლი "საზანდარი", რომელიც დღემდე მისი დამფუძნებლის დარიგებითა და მითითებებით "საზრდოობს" და წარმატებით მოღვაწეობს. ანსამბლი "საზანდარი" არსებობის 34 წლის მანძილზე გამოირჩეოდა რუსუდანისეული ხელწერითა და საშემსრულებლო მანერით, მიღებული აქვს მრავალი დიპლომი, ჯილდო და ქების სიგელი, სამახსოვრო საჩუქარი. ანსამბლმა წლების განმავლობაში აღზარდა ქორეოგრაფებისა და ტანვარჯიშის პედაგოგების მრავალი თაობა, მისი ბევრი წარმომადგენელი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს როგორც ჩვენს რაიონში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, თქვენ წარმოიდგინეთ, საზღვრებს გარეთაც...

უხუცესი ქალბატონი, ძველი საზანდარელების უერთგულესი, უანგარო და უსაყვარლესი მასწავლებელი რუსუდან მჭედელაძე ვარსკვლავის გახსნის დღეს, საზეიმო კონცერტის ბოლოს ეტლით შემოაბრძანეს სცენაზე. ხალხით გადაჭედილი დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს, იყო გამამხნევებელი შეძახილები, დიდხანს სკანდირებდნენ მონატრებული მასწავლებლის სახელს. ემოციური, მრავლისმთქმელი იყო მის მიერ წარმოთქმული სამადლობელი სიტყვა, დაფასებისა და პატივისცემისათვის მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, კოლეგებსა და აღზრდილებს, კულტურისა და ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

ღონისძიების ყველაზე საინტერესო ნაწილი გახლდათ ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

საქართველოს კულტურის პალატის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ოქიტაშვილმა ოფიციალურად გამოაცხადა ჩვენი ქალაქისა და რაიონის კულტურული მიღწევა, ყველას მიულოცა საერთო აღიარება და გაიხსენა ამ დღესთან დაკავშირებული, ფრიად საინტერესო, ოცი წლისწინანდელი, მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლური დამთხვევა.

საქმე ის გახლავთ, რომ 1999 წელს, ზუსტად 19 მაისს, თბილისში, ფილარმონიის წინ გაიხსნა ქართული ცეკვის ჯადოქარის ნინო რამიშვილის ვარსკვლავი, ალბათ, ნიშანდობლივია ისიც, რომ ლეგენდარული ნინო რამიშვილის ნამოწაფარის რუსუდან მჭედელაძის ვარსკვლავიც 19 მაისს გაიხსნა და ამიერიდან იგი ჩვენი ქალაქის კუთვნილება გახდება.

შეხვედრა დასრულდა ფეიერვერკით, ისმოდა ქართული მრავალჟამიერიც.

ქეთევან მონასელიძე, "ცეკვის აკადემია დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება

შემჯამებელი შეხვედრები ცხოთელოო ყოფილებში

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ-4.

მეტეხი

მრავალფეროვანი, ძალიან საინტერესო ღონისძიება ჩატარდა მეტეხის სასოფლო კლუბში. აღნიშნულ საჩვენებელ კონცერტში მონაწილეობდნენ: მეტეხის სასოფლო კლუბთან /გამგე ცისანა დარჩიაშვილი/ არსებული საესტრადო სიმღერის, მხატვრული კითხვისა და ქორეოგრაფიული წრის მოსწავლეები, აგრეთვე ახალციხის სასოფლო კლუბთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის /ქორეოგრაფი ცისანა დარჩიაშვილი/ მოცეკვავეები.

კონცერტი საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა, ქორეოგრაფიული ცეკვებისა და სიმღერების გარდა შესრულდა მხატვრული ტანვარჯიში, რომელსაც ასრულებდა მეტეხელი ლიზი ყურაშვილი.

აპლოდისმენტები წილად ხვდათ საესტრადო სიმღერების შემსრულებლებს: მარიამ დათაშვილს, ანა მარია ბოჭორიშვილსა და ლიზი პატარქალიშვილს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ქართული ჭიდაობა

ვანო გამხიტაშვილის სოფელში

ქართულ ჭიდაობაში 1994 წლის აბსოლუტური ფალავნისა და სამგზის პრიზიორის, სამბოში მსოფლიო მასშტაბით წარმატებული მოჭიდავის – ვანო გამხიტაშვილის (1973–1999) ხსოვნას მიეძღვნა ტურნირი, რომელიც სამბოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით ჩატარდა სოფელ სამთავისში, მისივე სახელობის საჭიდაო არენაზე, წლევანდელ შუა ივლისში...

გაგაცნობთ ჩვენი სპორტკომპლექსის წარმომადგენელი 12-15 წლის ჭაბუკი მოჭიდავეების ვინაობას, ვინც შეძლო სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამარჯვება და მეორე-მესამე ადგილებზე გასვლა:

გამარჯვებულები – ლევან მამულაშვილი და ნუგზარ გელხაური;

მე-2 პრიზიორები – გიორგი ხალიბეგაშვილი, ვალერი მღებრიშვილი და სოსო ჟივიძე;

მე-3 პრიზიორები – ვახტანგ გოგიაშვილი, გიორგი კალატოზიშვილი, ლუკა აღსაბაძე და ნოდარ გოდერძიშვილი.

მათ გადაეცათ ფედერაციის ფასიანი საჩუქრები (სპორტული ფორმები) და დიპლომები, შესაბამისი ხარისხის დიპლომებთან ერთად.

მე, შენ და ცეკვითვილო

ნახევარსაუკუნოვან ქასპის ნომერ პირველ საბავშვო ბაგა-ბაღის კედლებში მრავალი თაობა აღიზარდა, აქ დაფრთიანებული გოგო-ბიჭები წარმატებით აგრძელებენ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რასაკვირველია, ბევრ მათგანს ალბათ, დღესაც სულიერ საზრდოდ მიჰყვება ბაღის კედლებიდან წაყოლილი სიკეთე და არც საყვარელი აღმზრდელ-მასწავლებლების ამაგი დაავიწყდებათ...

მართლაც რომ დიდხანს ემახსოვრებათ, სიყვარულით გაიხსენებენ მზრუნველ მასწავლებლებს ბაღის წლევანდელი კურსდამთავრებულებიც, რომლებიც წელს პირველად შეაღებენ სკოლის კარს...

– სასკოლო ასაკის ჯგუფში წელს ოცდაათზე მეტი აღსაზრდელი გვყავდა და აქედან 25 ბავშვი დაემშვიდობა მშობლიური ბაღის კედლებს, – აცხადებს ჯგუფის აღმზრდელი მარიამ მერებაშვილი, – მთელი წლის განმავლობაში გულდასმით ვაკვირდებოდით და მერწმუნეთ, ნამდვილად არ ვაჭარბებ, თამამად შემიძლია იმის თქმა, რომ ეს ბავშვები არიან შეუდარებლები, კარგად მომზადებული, ერთი სიტყვით, სასკოლო მზაობის პროგრამა ყველა მათგანმა წარმატებით დაძლია და სკოლას, სადაც ეს ბავშვები გააგრძელებენ სწავლას, ნამდვილი სიურპრიზი ელის.

ამჯერად, სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც უნდა ვენდოთ აღმზრდელის წინასწარ "პროგნოზს", ვინაიდან აღსაზრდელებმა თავიანთი მზაობა და ორგანიზებულობა, ზოგადი ცოდნა, მოტივაცია შესანიშნავად აჩვენეს ამას წინათ ბაღში /გამგე მზია ჭაღიაშვილი/ გამართულ გამოსაშვებ ზეიმზე, რომლის მომზადებაში აღმზრდელთან ერთად მონაწილეობდნენ მისი თანაშემწე ლელა ზაქარიაშვილი, მუსიკის მასწავლებელი შორენა ჯოჯიშვილი და ძიძა თეონა ბუთხუზი.

მოკლედ, გამოსაშვები აქტივობის ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ მშობლები და სპეციალურად მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყვნენ ქასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, გაერთიანების სპეციალისტები: ხათუნა ტყემალაძე, ნია ჯუხარიძე, მაია მაზმიშვილი.

ღონისძიება ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა, გასაოცარი მონდომებით, ამაღლებული განწყობით, დამაჯერებლად, მთელი სერიოზულობით წარმოთქვამდნენ პატარები ჩვენი სამშობლოს ისტორიული მნიშვნელობის პატარ-პატარა მონოლოგებს და ადრე ნასწავლი ფრაზებით ხოტბას ასხამდნენ დედა ენას...

აქტივობის ბოლოს ბავშვებს საზეიმო ვითარებაში გადასცეს ბაღის დამთავრების ლამაზად გაფორმებული ალბომები და გზა მშვიდობისა უსურვეს.

ჩვენ ვაშენებთ მომავალს

ლამაზად, საზეიმოდ მორთული დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა, აქ იყვნენ აღსაზრდელების მშობლები და ახლობლები, მასწავლებლები... ქასპის მეოთხე საბავშვო ბაგა-ბაღში /გამგე დალი კოტეტიშვილი/ სულ ირიცხებოდა 130 აღსაზრდელი, აქედან ბაღის 36 კურსდამთავრებული წელს სკოლის კარს შეაღებს. გაცილების აქტივობა, რომელიც 12 ივნისს გამართეს დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელებმა, დიდხანს ემახსოვრებათ არა მარტო ბავშვებს, არამედ მშობლებს, რა თქმა უნდა, აღმზრდელ-მასწავლებლებსაც... გამოსაშვები ღონისძიების ძალიან საინტერესო, შინაარსიანი სცენარი ერთობლივად მოამზადეს აღმზრდელმა მაია აბეწვაშვილმა, მისმა თანაშემწეებმა: ი. მერებაშვილმა და ქ. ცუცუნაშვილმა, მუსიკის მასწავლებელმა ნაზი ტურაშვილმა, მეთოდისტმა ლუიზა ბაინდურაშვილმა.

ზღაპრული, ძალიან შთამბეჭდავი იყო პატარების შემოსვლის სცენა და მისალმება, აღფრთოვანებას, დიდ სიხარულს იწვევდა ერთნაირ, მოხდენილ კოსტიუმებში გამოწყობილი წყვილების გამოჩენა...

დასამახსოვრებელი იყო ცეკვა გვირილებით, რომელიც წარმოადგინეს ჯგუფის "პრანჭია" გოგონებმა, შემდეგ, ჯგუფურად შეასრულეს პატარებმა "ანბანთქება", სამშობლოს უგალობდნენ ჯგუფის თვალხატულა ბიჭები.

ძალიან საინტერესო იყო საგულდაგულოდ მომზადებული მუსიკალური ნომერი ცეკვა კლასიკური "ბალეტი", რომელსაც ასრულებდნენ ნია გიგაური, მარი ჟივიძე, ბარბარე ჩარაევი და ნინო ნონიაშვილი. ცეცხლოვანი მთიულურით მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება ბიჭუნებმა, რომლებსაც ტოლს არ უდებდა ბიჭის ჩოხაში გამოწყობილი ბარბარე კაჭიური.

შემდეგ გოგონებმა შეასრულეს ინდური ცეკვა, სოლისტი ბარბარე ჩარაევი. საინტერესო იყო მუსიკალური ნომერი, რომელიც წარმოადგინეს ბავშვებმა: თ. ისმაილოვმა, დ. ხუბაშვილმა, ნ. ქენქაძემ, თ. გელაშვილმა, ნ. ნონიაშვილმა, ლ. გერმისაშვილმა.

გაცილების აქტივობა დასრულდა ჰიმნით – "ჩვენ ვაშენებთ მომავალს", რომელსაც ასრულებდა ზეიმის მონაწილე ყველა აღსაზრდელი. დაბოლოს, ბაღის გამგე ქალბატონი დალი კოტეტიშვილი სიყვარულით გამოეშვიდობა ბავშვებს, აღსაზრდელი. ირგვლივ იყო ზღვა სიხარული, ემოციები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატარები კითხულობდნენ ლექსებს სამშობლოზე, დედა ენასა და მშვიდობაზე...

წარმოდგენის დასრულებამდე ბაღის გამგემ ნანა აბულაძემ სიხარულით გამოაცხადა დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელების ანდრია შეშაბერიძის, ლალი წივილაძის და ხატია მაღალდაძის სახელები, რომლებიც წელს პირველად შეაღებენ სკოლის კარს და მათ საზეიმო ტაშის ფონზე გადაეცათ ბაღის დამთავრების ლამაზად გაფორმებული ალბომები.

ერთ, მეამყოი, ცხრაწმუნიებს

ბავშვობის უზრუნველი, ბედნიერი ხანა და, რაღა თქმა უნდა, საყვარელ საბავშვო ბაღის კედლებში გატარებული წლები დიდხანს არ დაავიწყდებათ ეზატელ პატარებს, რომლებმაც წლების განმავლობაში ერთგული და მზრუნველი აღმზრდელ-პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის /ნანა აბულაძე, მანანა იაშვილი/ დიდი მცდელობითა და დახმარებით მიიღეს "ცხოვრების საგზური".

ტრადიციულად "სასკოლო მზაობის პროგრამის" დასრულებას და ბაღთან დამშვიდობების აქტივობის ზეიმს ყველა, მათ შორის მშობლები, ახლობლები, მასწავლებლები მოუთმენლად ელოდებიან ხოლმე. ასე იყო წელსაც...

უნდა გენახათ, რა ბედნიერები და რა საყვარლები იყვნენ საღღესასწაულოდ გამოპრანჭული აღსაზრდელები, გახარებულები იყვნენ მათი მშობლები, მოწვეული სტუმრები.

ბაღთან დამშვიდობების აქტივობა, რომელიც ჩატარდა ეგიდით "ენა, მამული, სარწმუნოება", იყო ეზატის საბავშვო ბაღის /გამგე ნანა აბულაძე/ აღმზრდელ-პედაგოგებისა და მშობლების მიერ ერთობლივად განხორციელებული საინტერესო, შემეცნებითი ღონისძიება.

სანახაობრივად ლამაზი, ლიტერატურულ-თეატრალიზებული წარმოდგენა – "გზის დასალოცი" ეფუძნებოდა მარადიულ თემას "ენა, მამული, სარწმუნოება", რომელსაც ბავშვებმა შესანიშნავად გაართვეს თავი. წარმოდგენა-ზეიმში მონაწილეობდა ყველა აღსაზრდელი. ირგვლივ იყო ზღვა სიხარული, ემოციები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატარები კითხულობდნენ ლექსებს სამშობლოზე, დედა ენასა და მშვიდობაზე...

წარმოდგენის დასრულებამდე ბაღის გამგემ ნანა აბულაძემ სიხარულით გამოაცხადა დამამთავრებელი ჯგუფის აღსაზრდელების ანდრია შეშაბერიძის, ლალი წივილაძის და ხატია მაღალდაძის სახელები, რომლებიც წელს პირველად შეაღებენ სკოლის კარს და მათ საზეიმო ტაშის ფონზე გადაეცათ ბაღის დამთავრების ლამაზად გაფორმებული ალბომები.

ექვსი თვის შედეგები

კარგად მოგეხსენებათ რა დიდ ინტერესსა და ვნებათაღელვას იწვევს ფეხბურთი. სპორტული ინტერესის გამოვლინების ეს უნიკალური სახეობა წლების განმავლობაში საზოგადოების განწყობის (განსაკუთრებით თამაშის დღეებში) ერთგვარი ბარომეტრიც გახლავთ. როგორ, სად და როდის გაჩნდა ფეხბურთი, როგორია მისი არსებობის ისტორია საქართველოში? გვიამბობს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი.

ფეხბურთი - მოსახლეობის ფართო ფენების ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების თვალსაზრისით სპორტის სხვა სახეობათა შორის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია. ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი ძალზე პოპულარულია. იგი ხელს უწყობს ისეთი ფიზიკური თვისებების განვითარებას, როგორიცაა სისწრაფე, ძალა, გამძლეობა, მოქნილობა და სიმარჯვე. ფეხბურთის თამაშის არსი - ესაა ბრძოლა ორ გუნდს შორის, რომელთა მოთამაშეებს აერთიანებთ საერთო მიზანი - გამარჯვების მოპოვება.

გამარჯვებისაკენ სწრაფვა ავითარებს კოლექტიურ მოქმედებებში მონაწილეობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის გრძნობას.

საწვრთნელი მეცადინეობები და თამაშები პრაქტიკულად მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში და თანაც სრულიად განსხვავებულ კლიმატურ პირობებში, ეს თამაში ხელს უწყობს ფიზიკურ წრთობას, ორგანიზმის გამძლეობის ამაღლებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაფართოებას.

დასაწყისში ბურთის ფეხით თამაში გავრცელებას იწყებს ინგლისის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. პირველი მცდელობა თამაშის ერთიანი წესების შესაქმნელად ეკუთვნოდა კემბრიჯის საფეხბურთო კლუბს, რომლის გამოცემაც 1848 წელს გადაწყდა, მაგრამ, ამ წესებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

თამაშის პირველი წესები, რომლებიც 1863 წლის 8 დეკემბერს გამოქვეყნდა და 13 პარაგრაფისაგან შედგებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იან წლებში ფეხბურთი გავრცელებას იწყებს ევროპაში.

1904 წელს შეიქმნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია - ფიფა, მის პარალელურად 1954 წლიდან ფუნქციონირებს ევროპის საფეხბურთო კავშირი - უეფა. 1900 წელს ფეხბურთი შეიტანეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, თუმცა პირველი ტურნირი 1908 წელს ჩატარდა.

1930 წლიდან ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

საინტერესოა, რომ საქართველოში ფეხბურთის თამაში ჩაისახა ერთი მხრივ - ბათუმსა და ფოთში, მეორე მხრივ - თბილისში. 1907 წლის 23 თებერვალს თბილისში გაჩნდა პირველი ოფიციალური გუნდი "კომეტა", რომელსაც ჰქონდა თავისი ფორმა, სახსრები, მოედანი და წესდება. ერთი წლის შემდეგ საზოგადოება "კომეტამ" თამაშის წესები გამოსცა, 1912 წელს კი ჩატარდა ქალაქის პირველი ჩემპიონატი. 1913 წელს ბათუმელმა ფეხბურთელებმა პირველი საქალაქთაშორისო მატჩი გამართეს ფოთში. იმავე წლებში ფეხბურთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი სოხუმში. 1915 წელს ქუთაისში შეიქმნა პირველი გუნდი "მერცხალი". 1924 წელს პრესაში გამოქვეყნებული მონაცემებით საქართველოში 120 გუნდი არსებობდა.

კასპის საფეხბურთო სკოლის წლევანდელი წლის სპორტული სეზონი თავიდანვე წარმატებულად დაიწყო. ბევრს ალბათ, ემახსოვრება კიდეც, რომ სკოლის /დირექტორი ავთანდილ ჯალალი/ ასაკობრივი გუნდები წარმატებით მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციების ეგიდით გამართულ პირველობებზე, ასე მაგალითად:

"განთიადი 2003" – მწვრთნელი გოგიტა ილურიძე, ასპარეზობდა ვლადიმერ ბარქაიას სახელობის პირველობაზე, სადაც მონაწილეობდა 14 გუნდი. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პირველობაზე გუნდს ჩატარებული აქვს 9 შეხვედრა, საიდანაც გუნდმა ჩაიწერა 8 მოგება და ერთი წაგება, ბურთების შეფარდება 36:15, დაგროვა 24 ქულა და რასაკვირველია, ამ შედეგით გუნდი დამსახურებულად აღმოჩნდა პირველ ადგილზე.

"განთიადი 2004" – მწვრთნელი ზაზა ჯალალი, გუნდი შეხვედრებს მართავდა "განთიადი 2003"-თან ერთად.

სხვათა შორის, სპორტსმენები ერთი ასაკით უფროს ფეხბურთელებთან ერთად ასპარეზობდნენ და გუნდმა მოიგო ორი თამაში, ხოლო 7 შეხვედრა დათმო, ბურთების შეფარდებაა 9:26 და მის ანგარიშზეა 6 ქულა. ამიტომაც არის, რომ გუნდი აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა...

სამაგიეროდ ეს საფეხბურთო გუნდი წარმატებით გამოდის შიდა ქართლის პირველობაზე, სადაც სულ ოთხი გუნდი მონაწილეობს აღნიშნულ სპორტულ პაექრობაში.

პირველ წრეში ჩატარებული ექვსი მატჩიდან ექვსივე თამაში მოიგო და 18 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

"განთიადი 2006" – მწვრთნელი მალხაზ ჯალალი. გუნდი მონაწილეობს ნიაზ ძიაპშიპას სახელობის პირველობაზე. ამ ტურნირზე სულ 9 გუნდი გამოდიოდა და პირველ წრეში ჩატარებული 8 თამაშიდან გუნდმა 7 შეხვედრა მოიგო, ერთი წააგო, ბურთების შეფარდება 23:13 და 21 ქულით პირველ ადგილზე იმყოფება.

"განთიადი 2007" – მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი, გუნდი მონაწილეობს აფხაზეთის პირველობაზე, რომელიც ეძღვნება ვლადიმერ მარღანიას თასის გათამაშებას და აქ 14 გუნდი ასპარეზობს. დღეის მდგომარეობით გუნდმა ჩაატარა 10 შეხვედრა, აქედან 7 შეხვედრა მოგებით დაასრულა, ხოლო სამი თამაში დათმო, ბურთების საერთო შეფარდება 30:15, მის ბალანსზე ირიცხება 21 ქულა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ტურნირის ლიდერ – გარდაბნის გუნდს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

"სასირეთის საფეხბურთო გუნდი" – მწვრთნელი ზურაბ ბეჟიტაშვილი, გუნდი ასპარეზობს შიდა ქართლის პირველობაზე, სადაც მათთან ერთად კიდევ შვიდი გუნდი გამოდის. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პირველობაზე ლიდერობენ ქარელისა და გორის გუნდები და საინტერესოა ის, რომ მათ კვალში უდგას სასირეთის საფეხბურთო გუნდი, რომელიც ამ ეტაპზე მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახლავთ.

"განთიადი 2008" – მწვრთნელი მალხაზ ჯალალი, გუნდი მონაწილეობას ღებულობს შიდა ქართლის პირველობაზე, სადაც 6 გუნდი გამოდის. გუნდმა ჩატარებული 10 შეხვედრიდან 9 თამაში მოიგო, ერთი შეხვედრა ფრედ დაასრულა და როგორც ვარაუდობენ, გუნდი გამარჯვების კანდიდატია.

– განვლილი საფეხბურთო სეზონის ანალიზმა ცხადყო, რომ სპორტული მაჩვენებლები გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ არა ის ხელისშემშლელი გარემოება, რაც ამ ეტაპზე გვაქვს, – საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი შოთა გოგიაშვილი, – ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ამჟამად მიმდინარეობს სტადიონის ინტენსიური რეკონსტრუქცია და ბუნებრივია, ჩვენს ფეხბურთელებს უძნელდებათ სხვის მოედნებზე სათანადო საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარება, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამომავლოდ, რა თქმა უნდა, ძალიან დიდ კომფორტს ველოდებით და კიდევ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვაქვს უდიდესი მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით შარშანდელი მაგალითიც გამოდგება, იცით, ალბათ, რომ საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდიდან გრანტის სახით სერიოზული ფინანსური დახმარება მივიღეთ, რამაც საშუალება მოგვცა ჩვენი ბავშვებისათვის შეგვეძინა ახალთახალი სპორტული ინვენტარი და საფეხბურთო სამოსი, რამაც ჩვენი ფეხბურთელები წაახალისა და უდიდესი მოტივაცია შესძინა, ვფიქრობ, ეს ყველაფერი აუცილებლად აისახება დადებითად.

როგორც მწვრთნელები აცხადებენ უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში გუნდები ცოტა ხნით შეისვენებენ, ძალებსაც აღიდგენენ... მერე კი, ისევ დაიწყება საწვრთნელი ვარჯიშები.

სკოლიერების გართობანი

2018-2019 სასწავლო წლის შემაჯამებელი კონცერტები მუნიციპალიტეტის ყველა სამუსიკო სკოლაში ანშლაგით ჩატარდა და ეს არ გახლდათ მარტოოდენ საზეიმო კულტურული ღონისძიება...

— მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების, ამავე დროს, მშობლების დიდი მცდელობისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგი სრულად გამოვლინდა წლის ბოლოს გამართულ დასკვნით კონცერტებზე, — აცხადებს მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, — ერთი სიტყვით, აქ ნათლად გამოჩნდა ბავშვების დიდი მონდომება და მოტივაცია, მუსიკის, ხელოვნების შეცნობისა და შესწავლის სურვილი.

დასკვნით კონცერტებს ესწრებოდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, მოწვეული სტუმრები, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი მუშაკები, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები.

ახალქალაქი:

ია გამრეკელის სახელობის ახალქალაქის სამუსიკო სკოლის შემაჯამებელი კონცერტი, რომელიც 21 ივნისს გაიმართა, წელსაც რეზონანსული და გამორჩეული იყო. დარბაზი ხალხით იყო სავსე და რა თქმა უნდა, სუფევდა საზეიმო განწყობა. სამუსიკო სკოლის /დირექტორი ლია ნაზარაშვილი/ მოსწავლე-ახალგაზრდობამ შესანიშნავად წარმოადგინა საკუთარი შესაძლებლობები, როგორც კლასიკურ მუსიკაში, ასევე საგუნდო და საესტრადო სიმღერებში... ყოველი მუსიკალური ნომრის დასრულებას დარბაზი ხვდებოდა მქუხარე აპლოდისმენტებით. ბავშვებთან ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ პედაგოგებიც, ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა სკოლის დირექტორის ქალბატონ ლია ნაზარაშვილის გამოსვლამ, დიახ, მან პროფესიონალურ დონეზე შეასრულა საგანგებოდ მომზადებული ბეთჰოვენის ცნობილი მეჩვიდმეტე საფორტეპიანო სონატა, რომელმაც დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

სახალისო და კიდევ უფრო საყურადღებო გახლდათ დასკვნითი კონცერტის მეორე ნაწილი, მოკლედ, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების კურატორ-სპეციალისტმა დემურ ღვინაძემ და კონცერტზე დასასწრებად, თბილისადან ჩამოსულმა მისმა მეგობრებმა შეასრულეს სამი არაჩვეულებრივი მუსიკალური ნომერი /ფორტეპიანოსა და ვიოლინოს თანხლებით/, რომელმაც ყველას მოწონება, ხანგრძლივი ტაში დაიმსახურა... მოხიბლული მსმენელი, კონცერტში მონაწილე ახალქალაქელი მოსწავლე-ახალგაზრდობა, მათი მშობლები გულწრფელ მადლობას უხდიდნენ სამუსიკო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს დაუვიწყარი დღისათვის.

კავთისხევი:

ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სამუსიკო სკოლის /დირექტორი მზია ნადირაძე/ წლევანდელი წლის შემაჯამებელი დასკვნითი კონცერტი მის საიუბილეო თარიღს დაემთხვა და ცხადია, ეს მნიშვნელოვანი დღე მთელი საკავთისხეოს მუსიკალურმა საზოგადოებამ განსაკუთრებულად აღნიშნა... შეგახსენებთ, რომ ზუსტად 30 წლის წინ, დიდი ომარ კელაპტრიშვილის თაოსნობითა და მცდელობით მის მშობლიურ კავთისხევში ოფიციალურად გაიხსნა სამუსიკო სკოლა და იმ დღიდან მოყოლებული კავთისხეველი გოგო-ბიჭები და არა მხოლოდ ისინი, ინტერესით ეუფლებიან კლასიკურ მუსიკას, აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პრესტიჟულ მუსიკალურ კონკურსებში...

სამუსიკო სკოლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი კავთისხევში. აქ იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, დედაქალაქიდან მოწვეული სტუმრები, სოფლის აქტივის წარმომადგენლები და მოსწავლე-ახალგაზრდობა... ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს მიესალმნენ და ღირსშესანიშნავი დღე მიულოცეს მოსწავლეებს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ და მისმა მოადგილემ ზურაბ ჯავახიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ომარ კელაპტრიშვილის ოჯახის წევრები და ხელოვანის უახლოესი მეგობრები, რომელთა შორის გახლდათ ქალბატონი ციმი კელაპტრიშვილი და ლეგენდარული ანსამბლის "რუსთავის" სოლისტი რამინ მიქაბერიძე, კონცერტის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სახალხო არტისტი რევაზ თავაძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები დალი რჩეულიშვილი და ბელა ფრანგიშვილი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი, პროფესორი ნუცა კასრაძე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი გია ხუციშვილი, ნიჭიერი პიანისტები: გიორგი გიგაშვილი, სანდრო ნებიერიძე და სანდრო გეგეჭკორი.

კონცერტზე გამომსვლელმა მოსწავლეებმა დიდი მონდომებით შეასრულეს პროგრამული მუსიკალური ნაწარმოებები და საგუნდო სიმღერები, იყო არნახულად ამაღლებული განწყობა.

კასპის სამუსიკო სკოლა:

მრავალფეროვანი, დახვეწილი, გემოვნებიანი პროგრამით წარდგა ტრადიციულ შემაჯამებელ კონცერტზე კასპის სამუსიკო სკოლა /დირექტორი შორენა შეშაბერიძე/, ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმაც, რომ კონცერტზე სჭარბობდა ქართული კლასიკური მუსიკა... ღონისძიებას ესწრებოდნენ მოსწავლეების მშობლები, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები, მოწვეული სტუმრები... დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მან მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს ბეჯითი სწავლისა და ქართული მუსიკის პოპულარიზაციისათვის და სამომავლოდ წარმატებები უსურვა.

დასკვნითი კონცერტის გახსნის პატივი წილად ხვდათ საგუნდო და საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრეების /ხელმძღვანელები: გიორგი ხასიშვილი და თამარ საჩალელი/ მოსწავლეებს, რომლებმაც სანიმუშოდ შეასრულეს ქართული ხალხური და საესტრადო მელოდიები. შემდეგ ადგილი დაეთმო კლასიკურ საფორტეპიანო მუსიკას, სადაც მოსწავლეებმა შესანიშნავად გამოავლინეს ცოდნა და მუსიკალური შესაძლებლობანი. ყველაზე ემოციური და შთამბეჭდავი, დასამახსოვრებელი იყო საფორტეპიანო დუეტები, რომელსაც ტრადიციულად მოსწავლეები ასრულებენ ხოლმე თავის პედაგოგებთან ერთად. ერთი სიტყვით, კონცერტის მსვლელობისას დარბაზში იყო სრული ჰარმონია, ყველა გამომსვლელი იყო საინტერესო, ორიგინალური და გამორჩეული, დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებით მოიხიბლა პედაგოგების მანანა სოზიაშვილის, ლეილა თათანაშვილის, ლალი ღვინიაშვილის და ლაურა ნონიაშვილის მოსწავლეების გამოსვლით.

შემაჯამებელ კონცერტზე სკოლის დირექტორმა ქალბატონმა შორენა შეშაბერიძემ სიმაყით გადასცა მოსწავლეებს მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების მოწმობები და ქების სიგელები, მადლიერების გრძნობით დაემშვიდობა მათ მშობლებს ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

დოესი:

დოესის სამუსიკო სკოლის /დირექტორი მარინა გეთაშვილი/ მოსწავლეები ნამდვილად განებივრებული არ არიან "საუცხოო" გარემოპირობებით, მაგრამ უამრავი პრობლემის მიუხედავად, ბავშვები, მათი მშობლები და პედაგოგები ყოველნაირად ცდილობენ, რომ მოსწავლეებს ხელი შეუწყონ საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში.

სკოლაში გამართულ წლის შემაჯამებელ დასკვნით კონცერტზე ნათლად გამოჩნდა პედაგოგების თავდაუზოგავი შრომის შედეგი და ამავე დროს, მოსწავლეების დიდი მონდომება.

შემაჯამებელ კონცერტს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები, მოწვეული სტუმრები. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი და საინტერესო მუსიკალური პროგრამა. მაღალ დონეზე შესრულდა ყველა მუსიკალური ნაწარმოები, მოწონება დაიმსახურა პედაგოგ ლია მიქაბერიძის მიერ მომზადებულმა რეპერტუარმა...

კონცერტის დასასრულს ბავშვებს გადაეცათ სიგელები და მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების მოწმობები.

დოესში ახალი საჭიდაო გახსნეს და... ძველი მოჭიდავეები გაიხსენეს

გასულ საუკუნეში სოფელ დოესში არაერთი სახელოვანი მოჭიდავე დავაჟკაცდა იქაურ "ნაკალოვარზე" და "გალავნებთან" მოქმედ საჭიდაოებზე, ახლა აღარც ერთია. და, აი, ახალი საუკუნის 20-წლეულის მიწურულს დოესელმა ვეტერანმა მოჭიდავეებმა (ჯემალ ხორბალაძის თავკაცობით) და ქართული ჭიდაობის მოყვარულებმა სოფლის განაპირას, "საფონის ბოგირთან", საუკუნოვანი ჭადრების ქვეშ, ახალი არენა გააწყეს.

ღრმად სიმბოლურია, რომ მისი ნახერხიანი წრე პირველებმა დააჭაშნიკეს ადგილობრივმა და რაიონის სხვა სოფლებიდან წვეულმა ჭაბუკმა მოჭიდავეებმა. ამასთან, ორი ასაკობრივი ჯგუფის წონით კატეგორიებში გამარჯვებულებსა და გამორჩეულებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები და საჩუქრები, რომლებიც დაწესებული იყო იქაური აწ გარდაცვლილი მოჭიდავეების – სამსონ პატენკოს, სულიკო ახალკაცის, ყარამან უხურგუნაშვილის, ილო თაბუაშვილის, პაატა ახალკაცის, ილო ხორბალაძის, დიმიტრი გურგენიძისა და სხვათა სახელების უკვდავსაყოფად. მაყურებელმრავალი საჭიდაო ზეიმის სტუმარმა ცნობილმა მოჭიდავეებმა ჭაბუკ ჩემპიონ-პრიზიორებს მიულოცეს და დააჯილდოეს სპორტკომპლექსის ხელმძღვანელობის დიპლომებით და მედლებით. როგორც წესი, სწორედ მისი დირექცია (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) გამოდის საზაფხულო უქმეებზე რაიონის სოფლებში ქართული ჭიდაობის აღორძინების მოთავედ.

შეხვედრას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე.

(პ.ს.: ივლისის ბოლო დეკადაში ქ. კასპსა და სოფ. ლამისყანაში ჩატარებული სახელობითი ტრადიციული მემორიალური ტურნირების თაობაზე ვისაუბრებთ ჩვენს მომდევნო სპორტულ გამოშვებაში).

ზემოხანდაკელი მოჭადრაკის წარმატება

გიორგი კელაპტრიშვილმა, სოფელ ზემო ხანდაკის საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ, ივლისის დასაწყისში შესანიშნავად იასპარეზა ქ. თბილისში, ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში გამართულ 14-წლამდელთა მესამე კატეგორიის დონის საკვალიფიკაციო ტურნირში: შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარული სისტემით 7 ტურად მოეწყო, იგი მხოლოდ ორ მეტოქეს დაუზავდა, ხუთს კი მოუგო, ამით ექვსი ქულა დააგროვა და ქულანახევრით გაუსწრო მდევრებს... სექტემბერში, როცა ახალი სასწავლო წელი დაიწყება, გიორგის მორიგი გამოცდა მოელის, ამჯერად სარეიტინგო ტურნირში გამოვა და წარმატების შემთხვევაში მეორე კატეგორიის მონაწილეებში აინაცვლებს... ვულოცავთ ესოდენ მიღწევას ყმაწვილსაც და მის მწვრთნელსაც, ზაზა გორგაძეს, ჭადრაკში ოსტატობის კანდიდატს, რომელიც სპორტკომპლექსის მწვრთნელის რანგში, მშობლიური სოფლისა და სკოლის სასახელოდ, ნიჭიერ მოთამაშეებს ზრდის და აოსტატებს.

ჩვენი ახალგაზრდა ფალავანი მამა გახდა

წარმატებული მოჭიდავეა ქვემოგომელი გიორგი კაციაშვილი, რომელმაც 2013 წელს ჰოლანდიის ქ. უტრეჰტში ევროპის ახალგაზრდული ფესტივალის ჩემპიონობა მოიპოვა ძიუდოში, შემდგომ წლებში გაიმარჯვა საქართველოს პირველობებზე, ხოლო 2016 წელს, 20 წლის ასაკში, გახდა საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში. თითქმის ერთი წელია, რაც გიორგის პატივი დასდო სპორტკომპლექსის ხელმძღვანელობამ და იგი მწვრთნელად დანიშნა ჭიდაობის ეროვნული სახეობის ჯგუფში. მიმდინარე თვე გიორგისათვის მრავალმხრივად მნიშვნელოვანია: ჯერ იყო და, თვის დასაწყისში, 4 ივლისს მას ვაჟიშვილი შეეძინა! ახალბედა მამამ, რომელმაც პირმშოს იოანე დაარქვა, შუა ივლისში წარმატებით იჭიდავა სოფელ კაკაბეთში (საგარეჯო), სადაც მოიგო ლეგენდარული ლევან თედიაშვილისა და იქაური უშანგი კუზანაშვილის სახელობის ტურნირი "საკუთარ" (80 კილოგრამის) წონით კატეგორიაში... (მის გარდა წარმატებით იჭიდავა ნუგზარ მამულაშვილის მეორე შეგირდმაც, ნიკა ბოგველმა, რომელმაც მე-2 ადგილი დაიკავა 70 კგ-ში).

შავიზღვისპირული მონაგარი ბათუმიდან

ცხრიდან თერთმეტ ივლისამდე ქ. ბათუმში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი კარატეში – ტრადიციული, რიგით მე-7 – "ბათუმის ღია პირველობა". "წარმატებული" – ასე უნდა შევაფასოთ სპორტკომპლექსის მიერ წარგზავნილი ახალგაზრდა კარატისტების ერთიანი გუნდის გამოსვლა შავი ზღვის პირად გაშლილ ულამაზეს ბათუმში.

აი, ისინი, ვინც თავი ისახელა: "ბათუმი – 2019"-ის ჩემპიონები – ელენე ჩიტიშვილი, ქეთევან წიკლაური, რიმა ბუცხრიკიძე, თამარ მჭედლიძე, ზურაბ გოგიაშვილი და მედეა ხალიბეგაშვილი;

ვიცე-ჩემპიონები გახდნენ ვახტანგ წიკლაური და მარიამ მანძულაშვილი; მე-3 პრიზიორები – დავით ჯანჯულია, გივი ფსუტური და ვასილ ხალიბეგაშვილი. (მწვრთნელები – დავით დალაქიშვილი და ალექსანდრე მანძულაშვილი).

კასპის სპორტკომპლექსი

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

შემოჯამებელი, დასკვნითი შეხვედრები

ზემო ხანდაკი:

ივნისის მიწურულს ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლაში /მენეჯერი ლეილა გოგიბედაშვილი/ ჩატარდა სასწავლო წლის შემაჯამებელი დასკვნითი კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები და მოწვეული სტუმრები, საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და ახალგაზრდები... სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მსმენელს წარუდგინეს საინტერესო და კარგად მომზადებული კლასიკური მუსიკის საფორტეპიანო ნაწარმოებები, აგრეთვე საგუნდო და საესტრადო სიმღერები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსმენელთა ყურადღების ცენტრში მოექცა კონცერტზე წარმოდგენილი საფორტეპიანო დუეტები, რომელიც მასწავლებლებმა შეასრულეს მოსწავლეებთან ერთად.

კონცერტის ბოლოს ბავშვებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სიგელები, მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების მოწმობები. ყველა კარგ განწყობაზე იყო, კონცერტის მონაწილენი და სტუმრები ინტერესით ათვალიერებდნენ სკოლის დარბაზში მოწყობილ პატარა გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იყო ხატვისა და ხელსაქმის წრეების / პედაგოგი თეონა ქამხაძე/ მოსწავლეების ნამუშევრები.

კულტურის დაწესებულებების გაერთიანება

ჩვენი ცხოვრების ვერნისაჟები

თებერვალში, ქვემო გომში ენთუზიასტებმა გადაწყვიტეს შეეკრიბათ სოფლის საჯარო სკოლის ხატვით, ფერწერით დაინტერესებული მოსწავლეები, მაშინ, ალბათ, ვერცკი წარმოიდგენდნენ, რომ წამოწყებას ამდენი მიმდევარი და მსურველი გამოუჩნდებოდა.

მარტივად, უხმაუროდ სკოლაში შეიქმნა ხატვისა და ფერწერის შემსწავლელი კურსი, სადაც სკოლის მოსწავლეახალგაზრდობა დროგამოშვებით ინტენსიურად მეცადინეობდა, ჰქონდათ საინტერესო გაკვეთილები, შეხვედრები. შეხვედრები ფერთა სამყაროში, რომელიც თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. მარტო უფროსკლასელები კი არა, პატარებიც დაინტერესდნენ და ქვემოგომელი მოსწავლეების მიერ მოწყობილი საგამოფენო ვერნისაჟით ბევრი მოიხიბლა.

– მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც ფუნქციონირებს ჩვენს სკოლაში ხატვისა და ფერწერის კურსი, მაგრამ არსებობის მცირე მონაკვეთის მიუხედავად, ბავშვებმა მაინც მოახერხეს თავის გამოჩენა, – აცხადებს მათი პედაგოგი მანანა ხიზანიშვილი, – სულ ახლახან კი, ქვემო გომის კლუბში /გამგე თამარ ბერიკიშვილი/ მოეწყო შემაჯამებელი გამოფენა, სადაც ხატვისა და ფერწერის ჯგუფის 25-მა მოსწავლემ წარმოადგინა საკუთარი ნამუშევრები.

იყო ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი შეხვედრა, ყველა ინტერესით ათვალიერებდა ბავშვების მიერ შექმნილ როგორც გრაფიკულ ასევე, ფერწერულ ნამუშევრებს.

სხვათა შორის, შეხვედრაზე ბავშვებმა წაიკითხეს ამონარიდები ცნობილი მხატვრების ბიოგრაფიებიდან, რაც რასაკვირველია, ხელს შეუწყობს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებას.

შემაჯამებელი ღონისძიების ბოლოს გამოფენის მონაწილე მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სერტიფიკატები.

ბავშვობის ჩანახატები

„ კენტურა „

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფრიგინალური ფოტოები, ნახატები, ჯგრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

სადაგი დღეების საფიქრალი

ნორა ედიშერაშვილი

ჯ ა ნ ყ ი

ღამის ქუჩებში ლეგა ჯანყია,
გაცისკრებამდე შორია, შორი...
სინდისს და ნამუსს ჰყიდის
ავყია,
თვალებში მრჩება ნისლების
ტბორი.
მამულო, შენთან ვტოვებდი
იმედს
და მოლოდინებს ღამეს ვუთევ-
დი...
დღეები ასე მკაცრი და მძიმე,
სულში მისხედან ვით მან-
ქურთები...
ჩამსაფრებია დრო მტვრად
ქცეული,
ახლა განძია ცხენი, უბელო...
დამძიმდა ცოდვით მიწის
სხეული,
წამოგვაშველე ხელი, უფალო!

6 ივლისი, 2019 წელი

მარინა შანიძე

***

უკვე გიბერდები, შვილო,
წლები ჩემ სიცოცხლეს
გპარავს,
მე რომ არაფერი არ ვთქვა,
ჭირი თავს ვეღარსად მალავს.
გული გახშირებით ფეთქავს,
დრო რა სულსწრაფობით
გარბის?!
მოკლე წუთისოფლის ზღ-
ვართან,
ჩნდება ხასიათი ხარბის!
მუხლში აღარ მომდევს ძალა,
საქმეს საიოლოს ვარჩევ,
მართლა გიბერდები, შვილო,
შენ ხომ ჩემზე კარგად ამჩ-
ნევ?
ნაღველს, ამ თვალებში ჩამდ-
გარს,
ცრემლი აარიდო - ცდილობ,
სხვას თუ ვეღარაფერს შევ-
ძლებ,
ლოცვით შეგეწევი, შვილო!
როგორ გამოგტაცო, მიმძიმს,
მშობლის იმედი და სითბო,
ვგრძნობ, რომ ჩემი სუნთქვა
შენთვის,
მთელი სამყაროა თითქოს...
არა, სიცოცხლეზე არა,
მე შენს ობლობაზე ვდარდობ,
უფრო ემატება ტკივილს,
დარდს რომ ვეღარავის ვან-
დობ...
შენი მოფერებით მწამლობ,
ახლა მე გავმხდარვარ ჩვილი,
ქვეყნად რა ამაყი დავალ,
მართლა გამიზრდია შვილი!
ჩვენი სიყვარულით ვცოცხ-
ლობ,
რაა ამ გრძნობაზე წმინდა?
ოღონდ შენ მეყოლე კარგად,
მე სხვა არაფერი მინდა!

... თუ მშობლებს არ სცალიათ

კარგა ხანია ვ ყ დ ი ლ ო ბ თ თქვენთვის საინ-ტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვ ი ნ მ ე ე ბ ზ ე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გივმბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იყით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურზე...

წინ მოულოდნელად საინ-ტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დაიტოვეთ თქვენთვის საინ-ტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

„ კენტურა „

შეუცნობელის ყვავლადაყვავლ

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გვმოიწერეთ „ახალი გვნთიადი"!

გაზეთ „ახალი განთიადის„ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალტერ აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რუსუდან ხეჩუაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალტერ აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საყაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76